№ 126. 17 ივნისი, სამშაბათი. 1866—1880 17 ივნისი, სამშაბათი № 126.

**რედაქცია**
რეჯენსმეიდანზე, შუასახლის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ თუმანიშვილის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**
მიიღება „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ „Иверія“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ „ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**ფასი განცხადებისა**
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## დროება

1 ივნისიდამ წლის დამლევამდის
ღირს ექვსი მანეთი
„დროება“ და „ივერია“ ერთად
1 ივნისიდამ წლის დამლევამდის
(„ივერიის“ სამი წიგნი)
ღირს ცხრა მან.
(ამ წლის „ივერიის“ პირველი წიგნი რედაქციაში აღარ არის).

## ტელეგრამმები

—

(ჩალხთა შორის სააგენტოსი)

**პეტერბურღი**, 14 ივნისს. გაზეთი „ნოვოე ვრემია“ დარწმუნებით იწერება, რომ იმ 20 სამხედრო ხომალდის უფროსად, რომელიც ჩინეთის წინააღმდეგ იგზავნება ძლიერ ოკეანეში, ზღვის სამინისტროს გამგებელი ლესოვსკი არის დანიშნულიო.

### საექიმო სწავლა ხალხში

ტფილისი, 16 ივნისს.

ჩვენს გაზეთში ამ ორის დღის წინათ წარმოვთქვით სურვილი, კარგი იქნებოდა სასულიერო სემინარიაში საექიმო სწავლა შემოეღოთო.

ამ სურვილს მეორე სურვილსაც ზედ დავურთობთ: კარგი იქნებოდა ეს სწავლა იმისთანა სასწავლებლებშიაც შემოეღოთ, სადაც სახალხო მასწავლებლებს ამზადებენ.

ჩვენის სურვილის მიზეზის მიხვედრა ძნელი არ არის. ამ ორ-გვარს სასწავლებლებში: სასულიერო და სამასწავლებლო სემინარიებში იზდებიან ახალგაზდანი, რომელთაც შემდეგ ხალხში მოუხდებათ ტრიალი, მოუნდებათ ხალხის გულის მოგება, თუ მართლა თავის დანიშნულების აღსრულებას მოიწადინებენ; ამათი დანიშნულება მარტო ის არ არის, რომ ერთთ თავიანთ შაგირდებს მარტო ანბანა ასწავლონ და მეორე აღდგომა დღეს პასქები და ბატკნები შუაზედ გადაუჭრან მლოცველებს და ხურჯინებით დღესასწაულებში კარ-და-კარ სათხოვნელათ იარონ.

განმეორება აღარ არის საჭირო ამ აზრისა, რომ მღვდელი და მასწავლებელი ნათელისა და ქრისტიანულის სწავლის მომფენელნი უნდა იყვნენ ხალხში და ამას ვერ შეასრულებენ, თუ სიყვარული და პატივისცემა არ ჩაუნერგეს ხალხს თავისი; სიყვარულსა და პატივისცემას კი ისე ვერა ჩაუნერგებს-რა, როგორც ავათმყოფების მორჩენა.

თქმა არ უნდა ზემოხსენებულს სასწავლებლებში შეუძლებელია საექიმოს სწავლის დაწვრილებით გარდაცემა; უიმისოთაც ბევრი თავის სამტვრევი აქვთ შაგირდებს. შეიძლება მხოლოთ ჰიგიენის წესებისა იმ ადვილ ავათმყოფობათ მორჩენის სწავლება, რომელნიც საკმაოთ გავრცელებულნი არიან ხალხში და რომელთ მორჩენა თითქმის ყველას შეუძლიან, ვინც კი პატარა საგზაო აფთიექის ხმარება იცის.

ზოგიერთი ექიმები ამბობენ კაცს წამლობა სრულებით არ ეჭირვება, მხოლოთ მოვლა უნდაო, ე. ი. კარგი ჩაცმა, კარგი საჭმელ-სასმელი, კარგი წმინდა ჰაერი და ავათ ძნელათ გახდებაო; თუნდა გახდეს კიდეც, მაინც კარგის მოვლის მეტი არა ეჭირვება-რა, თორემ რაღაც წამალ-წუმლები ადამიანს გვამს კი არა სწამლობენო, უწამლავენო.

ამ აზრს თუ საფუძველი აქვს სადმე, ჩვენში უნდა ჰქონდეს. ჩვენისთანა ბუნებით შემკული ქვეყანა ძნელათ თუ სადმე მოიპოვება და ჩვენში რომ ჰიგიენის წესებს ასრულებდენ: სუფთა სახლებში იდგნენ, სუფთა ჰაერსა სუნთქავდენ, ცოტა უფრო შემრგო საჭმელსა სჭამდენ და ზაფხულ-ზამთრის წესზედ ტანთ იცვამდენ, ვინ იცის თითო სოფელში რამდენი ასის წლის თეთრ-წვერა ბერი-კაცი დაგვხვდებოდა.

ნურავინ იტყვის ძველს და გამოფუტუროებულს აზრს, რომ სად შეუძლიან გლეხ-კაცს უკეთესათ ცხოვრება, როდესაც შეძლება არა აქვსო. ვინც ამას ამბობს სცრუობს ან უცოდინარობისა ან სხვა უფრო სამწუხარო მიზეზის გამო. დარწმუნებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ საზოგადოთ გლეხ-კაცს იმ ქონებით, რაც ეხლა ხელთა აქვს, უფრო კარგათ შეუძლიან ცხოვრება; უფრო კარგი ჩაცმა-დახურვა, ჭამა-სმა, უფრო კარგს სახლში დგომა, ვიდრე ეხლა და ვინ უნდა ასწავლოს ეს საუკეთესო ცხოვრება, თუ არ მღვდელთა და სოფლის მასწავლებელთ და ამ უკანასკნელთ ვიღამ უნდა ასწავლონ სოფელში ყოფნის დროს, თუ პატარობისას სასულიერო და სამასწავლებლო სემინარიებში არას გააგებინებენ.

მ.

---

როგორც ზოგიერთ ავათმყოფს მუდამ ახალ-მთვარეზე მოუვლის ხოლმე სენი და უახლდება ერთხელვე შეჩვეული ავათმყოფობა, ისე „ობზორსა“ და იმის ბ. ნიკოლაძეს ემართება: დრო-გამოშვებით ამხედრდება ხოლმე და გამოილაშქრებს ქართველებზე და ყველა ქართულ საქმეებზე.

განსაკუთრებითის სიმწარით და სიცხარით ლაპარაკობს ბ. ნ. ნიკოლაძე ქართველ განათლებულ ყმაწვილ-კაცებზე. იმათი ბელადი—ილ. ჭავჭავაძე თვითონ უნიჭოაო და, რადგან ჰსურს, რომ კაცად გამოჩნდეს, ამის გამო თავის თავზე უნიჭო ხალხი შემოუხვევია გარშემოვო.

## ფელეტონი

—

### შურდული

დღეს მინდა ვიდონკიხოტო: ავიღო ჩემი შურდული, ჩავაწყო შიგ დიდროვანი ლოდები და ხან ქარის წისქვილებს ვებრძოლო, ხან ცხვრის ფარას, ხან სათამაშო ქაღალდისაგან აშენებულს ხუხულას.

***

ჰხედავთ, რამოდენა შენობაა, რა მშვენივრათ მოჭრილი აგურებით არის აგებული, რამოდენა ხალხი ტრიალებს შიგა; ხემწიფეები, მდიდრათ ჩაცმული ქალები, კარის კაცნი, ხელ-ჯოხიანები; ყველა კმაყოფილია; ყველა გაბღენძილი დაიარება, ყველას ქვეყნისმბრძანებელი ჰგონია თავისი-თავი.

***

შემშურდა მათი ბედი; ვიფიქრე, განგებ ჩემს გასაჯავრებლათ გადამელობა გზაზედ ეს მშვენიერი შენობა მეთქი; ჩავდე შურდულში ერთი დიდი ლოდი, დავატრიალე და, წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, ჯერ შურდულს ქვაც არ გაუსროლია და ეს მშვენიერი შენობა კი აღარსად არის. ნუ თუ შურდულის ქნევის ქარმა დაუშავა რამე! ღმერთმა ნუ ჰქნას.

მიველი ახლო; ჯერ მტვერში ვერა გავარჩიე-რა! დავუწყე შინჯვა ნანგრევებს და, ღმერთო ჩემო, რა ვნახე! სადღა არიან ამაყის სახის მქონე ხემწიფეები, რომელნიც თავიანთ სიცოცხლეში სულ „ყვა-ყვას“ იძახოდნენ? სადღა არიან მდიდრათ მორთული ქალები, კარის-კაცნი, ხელ-ჯოხიანები. მათ მაგივრათ ხელთ შემრჩა „ყვავის ხემწიფეები“, „პიკის ქალები“, „ჩერვის ვალეტები.“

რა ვქნა, ეს სათამაშო ქაღალდის ხუხულა ყოფილა და ამოდენა მტვერი რაღამ აადინა მეთქი, ვიფიქრე მე და დავიწყე მიზეზების ძებნა:

ერთს ქაღალდზედ ჭოტი იყო დახატული, მეორეზედ ყვინჩილა—მამალი, მესამეზედ კრუხ-წიწილა; კრუხს ფრთები გაეშალა, თითქოს ყვიროდა: „კრუხ-კრუხ-კრუხ!“ წიწილებს ასწავლიდა, ქორი ასე უნდა მოიგერიოთო; წიწილებიც ცდილობდნენ მიბაძვას: „წიუ-წიუ-წიუ!“ მაგრამ მაინც წივილის მეტი არა გამოდიოდა-რა.

არა, მტვერს ესენი ვერააყენებდენ; დავიწყე კიდევ ძებნა; აი, აი! ვიპოვე მიზეზი; ორი ქაღალდი მოჰყოლია ქვეშ: ერთზედ აწერია: **„грузинскіе церковные гуджари“** და მეორეზედ **„прахъ!“**

***

„ობზორმა“ გამოილაშქრა კიდევ ქარსიულის თეატრის ამხანაგობაზედ; ქართულს შკოლებზედ, ქართულს გაზეთზედ, ქართულს ჟურნალზედ, ერთის სიტყვით ყველაფერზედ, რასაც კი ქართული ჰქვიან!

გამოილაშქრა მთელის თავისის ქვევითი ლაშქრით, ცხენოსანის ჯარით, არტილერიით! მონახეს თავისი ქანგიანი იარაღები: ლანძღვა, დაცინვა, გაკილვა, ცილის წამება!

ჯერ ქვევითი კაცი ჩამოჰგზავნეს საომარს ველზედ; უბრძანეს, დასცინეო!

ამანაც თავს იდვა და დაიწყო დაცინვა, მაგრამ უბედურმა არ იცოდა, რომ ეს იარაღი თუმცა მჭრელია, მაგრამ ღირსეულთ ხელთ უნდა ეჭიროთ. თორემ რა იქნება იმ კაცის სიცილზედ, მეტათ საზიზღარი და გულის ამრევი, რომელიც ბრძნობაში თავსა სდებს და მარილიანის სიტყვის მაგივრად რაღაც ოცობოდო ამბებს გვიამბობს.

პატრონმავე იგრძნო, რომ ეს მეომრათ არ გამოდგება, სტაცა საყელოში ხელი და მიაგდო კუთხეში. „ჩამომეცალე, შენ არ ვარგებულხარ, მე ვიცი მაგათიო!“ და მოჰყვა.

ღმერთო, რაები არა სთქვა! მე მამული მიყვარს, მაგრამ თუ მძაგს, იმიტომა მძაგს, რომ თქვენს ხელში ჩავარდაო, აბა მე ვიყო, მაშინ... მაშინ სხვაფრივ დატრიალდებოდა ჩვენის ქვეყნის ბედის ჩალხიო.

დაცინვის მაგიერათ ამან დაიწყო კბენა; ეგონა იმის ცოფიანს კბილებს კიდევ ძალა ჰქონდათ რამე; მაგრამ, რით ვერ შეიტყო, რომ დიდი ხანია იმ კბილებს წვერები მოახერხეს და იმისი ცოფი გადამდები აღარ არის.

ათასი იპამპულოს, ათასი იყვინჩილოს, ათასი ილანძღოს და იგინოს, მაინც მის ნაღველას ძალა არა აქვს-

ყველა საქმეები ამათ ჩაიგდეს ხელში და ყველაფერს აფუჭებენო. გაზეთი, თეატრი, მწიგნობრობა, სხვა-და-სხვა საზოგადოებანი ამათ ხელშია, როგორც უნდათ, ისე ატრიალებენო; მაგრამ რადგან უნიჭოები არიან, ამის გამო ყველა იმათი საქმეები უხეიროდ მიდის. ნიჭიან და ნამდვილად სამშობლოს მოყვარე ყმაწვილ-კაცებს ახლოს არ იკარებენო და სხვ. და სხვ.

პოლემიკა და წინააღმდეგის დამტკიცება ამ გვარის ხეპრულის აზრებისა, რასაკვირველია, სრულიად უადგილოა: ბ. ნიკოლაძეს ვერ გადავარჯულებთ და საზოგადოების წინაშე თავის გამართლება ამ შემთხვევაში საჭირო არ არის.

მხოლოთ ერთი რამ უნდა ვსთქვათ.

იცით—რატომ არის ბ. ნიკოლაძე ასე გაჯავრებული ქართულ ინტელიგენციაზე?

იმიტომ რომ ამ ინტელიგენციამ განდევნა ის თავის წრიდამ; იმიტომ რომ ეს ინტელიგენცია ახლოს აღარ იკარებს იმას; იმიტომ რომ ინტელიგენციამ ერთხელ-და-სამუდამოთ მოიშორა თავიდამ, „მესამე პუნქტის ძალით დაითხოვა".

ეს არის ნამდვილი მიზეზი ბ. ნიკოლაძის გულზე გახეთქისა და ყელზე სისხლის მოზჯენისა.

როგორც ბატონისაგან დათხოვნილი მსახური ტრაქტირში მიდის და თავის ტოლ-ამხანაგებში იწყებს ხოლმე თავის ადრინდელ ბატონის ლანძღვას, ისე ახლა ნიკოლაძესაც ქართველ ინტელიგენციიდამ გამორიცხულს, მოუგროვებია თავის გარშემო შეგროვები, პაშინოები, სტალერნები და სხვა ამ გვარები და მოუთხრობს ამათ თავის გულის ჯავრს...

დეი, ამითი მაინც გული მოიოხოს...

ს. მ.

## ახალი ამბები

თფილისის კლასიკურ გიმნაზიის დირექტორი აცხადებს, რომ წელს ამ გიმნაზიაში სულ 28 ყმაწვილ კაცს შეუსრულებია სწავლა, ამათში 27-ს ამ გიმნაზიის შეგირდს და 1-ს გარეშეს—მანსვეტოვს.

ამათში 5 ქართველია, 10 რუსი და 12 სომეხი. ქართველები არიან: დავით გედევანოვი, მიხეილ ჭელიძეშვილი, ალექსანდრე მელიქოვი, მიხეილ მდივანი და ვასილი მანსვეტოვი. ორი ამათგანი—გედევანოვი და მდივანი სტიპენდიაზე არიან წარდგენილი.

* *

დღეს ორშაბათს კალია მოფრინავს ჩრდილოეთიდამ და სამხრეთისაკენ გადადის. შუადღიდამ მოყოლებული მოფრინავს ძალიან მაღლა ასე რომ ქუჩებში თითო-ოროლა ჩანს, დიდს სიმრავლეს მხოლოდ მაშინა ვხედავთ, როდესაც მზეს მაღლა უყურებთ. ჩრდილოეთის ქარი შეუთანაბა მოჰქრის.

* *

ჩვენ მივიღეთ დღეს პირველი „გამოსაცდელი ნომერი ახალი რუსულ გაზეთისა **Листокъ Кавказскихъ Объявленій**, რომლის რედაკტორად გამოცხადებულია კამისიონერის კანტორის პატრონი მ. ხითაროვი. მიზანი გაზეთისა, როგორც რედაქცია აცხადებს, არის განცხადებებისა და ეკონომიურ ცნობათა ბეჭდვის საშუალებით სარგებლობა მოუტანოს ჩვენებურს ვაჭრებს და საზოგადოთ მრეწველებთა მომხმარებელთ, ე. ი. იგივე პროგრამმა, რაც „**Тифлисскія Объявленія**"-ებს აქვს, მაშასადამე უკანასკნელს მოცილე გამოუჩნდა.

* *

გაზ. „კავკაზში" იწერებიან, რომ ზაქათალის მაზრაში, ალაზნიდამ მოყოლებული ნუხის მცხოვრებლების ყანებამდინ კალია სულ გაწყვეტილია; მხოლოთ ბჟინაურისაკენ დარჩა კიდევ რამდენიმე და ამის გასაწყვეტად ამჟამად 3,000 კაცამდინ მუშაობს.

ამავე გაზეთის სიტყვით, გორის მაზრაშიც კალია თითქმის სრულიადით აღარ არის. შალაში განჩნდა მხოლოთ ამ ჟამად ბლომათა და ამის წინააღმდეგ საბრძოლველად მუშები დაიბარეს.

* *

მაისის გასულს პეტერბურგში რუსის მწერალს ნემიროვიჩ-დანჩენკოს დაუბეჭდავს თავისი მოთხრობა, რომელსაც ჰქვიან: „მეომარი ისრაელი" **(Воинствующій израиль)**.

ამ მოთხრობაში აღწერილია ისრაელთ კალონია დაღესტნის მთებში, რომელსაც სრულებით არ ეტყობა ისრაელების ჩვეულებრივი ხასიათი; ეს ხალხი მარჯვეა, გულადი და უშიშარი. რასაკვირველია ბუნებასა და გარემოება ხალხს ჰქონია მათზედ მოქმედება.

ამის თაობაზედ ავტორი ამბობს: სწავლულები ამტკიცებენ, რომ ურიები სალმასანარის დროს არიან კავკასიაში გადმოსახლებულნიო. ეს იმაზედ ეტყობა, რომ მათში ეხლაც იმ სახელებს არქმევენ, რომელნიც მხოლოთ ძალიან ძველს დროს იყვნენ ხმარებაში ურიებს შორის, მაგ. მაშინ როდესაც ისინი არაბეთის უდაბნოში მოგზაურობდენ; ერთი სწავლული ამბობს, ქართლში და კახეთში ურიებს ჩვეულებათა სჭირთ უეჭველათ თავის ქვრივს რძალზედ ჯვარი დაიწერონო; ეს ჩვეულებაც ძალიან ძველია.

* *

გორის გამგეობის ერთი წევრი გვაცნობებს, რომ თუმცა ეს სამი წლიწადია დამფუძნებელი კომმისიაა ამორჩეული ქალაქის შენობების დასაფასებელი და ბლანკებიც დამზადებულია; შრომაც ორი კვირის მეტი არ დასჭირდებათ, მაგრამ მაინც საქმისთვის არა ზრუნავენო. დაფასების შემდეგ წლიწადში ათას თუმნამდე შემოუვა გორსა და ამ ქალაქს კომმისიის ზარმაცობის გამო სამ ათას თუმნამდე დაუკარგავს.

* *

იმავე ქალაქიდამ გვწერენ, რომ რკინის ხიდის გამართვა აპირებენო მტკვარზედ; შემოსავალს თურმე გამკეთებელი აიღებს, ვიდრე თავისი შეუსრულდებოდეს.

* *

იმერეთიდამ იწერებიან, რომ მერმის, 1881 წელს ბლაღოჩინების ახლათ ამორჩევა უნდა მოხდეს და ბევრი ახლანდელი ბლაღოჩინი სცდილობს ქრთამებით და კაი სადილებით მეკენჭე მღდლები თავისკენ მიიბიროსო.

* *

ს. ცხინვალიდამ გვატყობინებენ, რომ იქაური ასისთავები, რომელნიც კალიის გასაწყობათ არიან დანიშნულნი, მართალია ერთგულათ ამუშავებენ ხალხს, მაგრამ ხშირად უსამართლობას სჩადიანო; მდიდრებს ფულს ართმევენ და ღარიბებს ამუშავებენო.

ამ სოფელში დაყენებული მომრიგებელი მოსამართლე თურმე რვა თვეა რაც მოსამართლეთ არის, მაგრამ საქმე კი ბევრი არა გაუკეთებია-რა. მართალია პატიოსანი კაცია, მაგრამ ზარმაცობა არის მიზეზი, თუ უცოდინარობა, მხოლოთ ვექსილების საქმეს არიგებს და სხვა კი სამძიმო საქმეები მრავალი მოგროვებულა მის სასამართლოში და ვინ იცის როდის ელირსებათ გარჩევა.

* *

---

რა, ძალიან ბევრი წყალი შერევია; წყალ-წყალა გამხდარა, წყალ-წყალა, კარგათ გაიგოს ესა.

ხანდისხან დარბაისლობს კიდეც და გვიქადაგებს: დედა ხომ მაინც გვიკვდებათ და რაღას აწუხებთ, დაეცით ხანჯალი და გაათავეთო.

ჩვენ დედა-ჩვენი ჯერ კიდევ ახალგაზდა გვგონია, ჯერ კიდევ ნორჩი, სიცოცხლით სავსე და ვიდრე სიკვდილის დრო მოუწრიფდებოდეს, იქნება უკვდავების წამალიც მოიგონონ და სიკვდილს გადაარჩინონ.

მაგრამ სწორეთ რომ გვიკვდებოდეს კიდეც, მაინც ისე გულ-მურტალნი და გულ-ამოუჭრელნი არა ვართ, რომ რაც უნდა მოგვივიდეს დედი-ჩვენის სისხლში ხელი გავისვაროთ.

* *

ღმერთო, რავებს ვამბობ და ვიზედა ვბედავ ამ გვარის ლაპარაკს? რომ შემხედეს სადმე „ობზორის" რედაქტორი, ხომ გამათავა! აქაო და ბრ. არწრუნმა პამფლეტი დამიძახა, დამუქარა, თუ ქუჩაში შეგხვდი სადმე სულ ყურებს დაგაწიწკნიო. ნახა და ბალი ლობე და ყვინჩილაობს. კიდევ არ წამომცდა! მაგრამ რისა მეშინიან, მე ხომ ურინ-მაჩინის ქუდი მხურავს და რა იცის ვინ დაბეჭდა ეს სტრიქონები.

მე კი ვერას მიზამს, მაგრამ, თუ ხელში ძალიან ეძიებს, ვურჩევთ იგივე „ობზორის" რედაქციაში მოჭარბოს ყურების ასაწევი ხალხი.

### სცენა ვეფხვის-ტყაოსნიდან

ვალ-კერძ მზის სოგრატ ვეზირი ისევ მოკლე და სქელია;
მას გვერდით უზის ავთანდილ, უბოძებიათ სელია;
ალარსად მოსჩანს ხევსური, სიტყვის პრტყელათ გამომთქმელია.
მეფეს როსტევანს სახეზედ უფრო დაკვრია ბნელია.

ზარძანა: ჩემნო გაზრდილნო, ესეა, რომე მწყინია:
სიბერე მახლავს, დავლიე სიამოვნისა ლხინია;
ქალი არ არის სითგანცა საბრძანებლი ჩვენია,
რომე მას ჩემგან ესწავლნეს მწერალთ საფერნი ზნენია.

ვის შეუძლიან ჩემსაებრ მოპარვა-პირის გინება;
დროზედ მეხსაეთ ქუხილი, დროზედ მასხარათ აგდება?
დროზედ მტრის მტერთან ბუზღება, დროზედა ცილის წამება;
ხანდისხან გაჭირების დროს ნამუსთან გამოსალმება!

ძალამ ჩემმა აღარ სჯერის წევრი მოსცვითა წვრამა;
ჩემს გაზეთს ვეღარ უშველა ვერც მის „ზარების" რეკამ;
ვეღარც მაღალთა პირთა წინ დაბლა ზურგისა დრეკამ,
ვეღარც მკითხველთა სამოთ პამფლოლაობამ, ცეცვამ.

ავთანდილი ზე წამოდგა, სთქვა: „მოვედი თქვენს წინ მეო
„მინდა რამე მოგახსენოთ და ფარმანი მიბოძეო."
„მინდა მეცა წერა ვცადო; სხვებს უკან არ ჩამოვრჩეო;
„ერთის გაზეთის ჯავრი მჭირს; ეს ჯავრი ამომყარეო."

დაჯდა წერათ წერილისა საბრალოსა საუბრისა,
ოფლი ხვითქით მოსდიოდა გულსა, წელსა, თავსა, პირსა.
გაათავა; მეფემ ნახა; „ვერ არი ეს კარგისა,
„ისა სჯობდა არ გეცადა, არ გეწერა ამ სირცხვილისა!

„გაზრდილო ჩემო, მისმინე, შენ მეტათ გისწრობს ენა!
„რას იკვეხდი, თუ მეტი არ შეგიძლიან წვენა,
„შენ ისევ თეატრზედ სწერე, მიბოძებია სცენა.
„მითხარ, ვით ძალ-გიძს წიწილას კრუხსავით მაღლა ფრენა.

„აბა შენ თითონ გაშინჯე, რა სისულელეს ყბედაო,
„ლობე-ყორესა ედები, გინდა კი გაზეთს ედაო.
„სასჯელათ შენი თხზულება იკითხე ზედი-ზედაო!"
ყური ასწია, აბლაბლა: „ვაიმე დედაო, დედაო!"

უნისარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე სოფელში ქალებს ლოტოს თამაშობის დროს შემოუღიათ ცოტაოდენის ფულის გადადება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოთ.

კორრესპონდენტი ამბობს კარგი იქნებოდა სხვაგანაც შემოეღოთ ეს ჩინებული ჩვეულება; მაშინ გონების გამომფუყებელი ლოტოს თამაშობისაგან ცოტა სარგებლობა მაინც გამოიღოდაო.

## წერილი რედაქტორთან

—

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ამა ჩემს წერილს მისცეთ ადგილი თქვენს პატივ-ცემულს გაზეთში.

არა უცნობელ არს ჩვენის პატივცემულის საზოგადოებისაგან და განსაკუთრებით ჩვენის ძველის დიდებულის წარსული ცხოვრებისა სამოქალაქო და საეკკლესიო ისტორიისა მოყვარეთაგან, რომელ დროთა საქართველოს ბედნიერთა დღეთა ჩვენს ტომსა აღუშენებია ძვირფასის სამკაულითა, განუმშვენებია და დიდ საფასე განძითა განუმდიდრებია მრავალნი მონასტერნი და დიდ-დიდნი ტაძარნი აღმოსავლეთის მხარესა, წმინდა ადგილთა შინა, იერუსალიმს, ანტიოქიას, ბეთლემს, ათონის მთასა ზედა და სხვათა ადგილთა. მონასტერთა და ტაძართა ამათ შინა ილვწოდენ ღვთისადმი და ჩვენის ქვეყნის სასარგებლოდ მრავალნი ძენი საქართველოსანი, რომელთა ეპყრათ ეს მონასტერნი, სადაცა მათ მიერ მრავალნი წიგნნი დაწერილ იქმნა და საითგანაცა სხივი განათლებისა მოეფინებოდა მრთელს ივერიის მხარესა.

ხოლო, სამწუხაროდ ჩვენდა, ადგილნი ესე წმინდანი, შემკობილნი და გამდიდრებულნი ქონებითა, ღვაწლითა და მეცადინეობითა ჩვენთა წინაპართაგან, აწ მიღებულ იქმნა ხელთა ჩვენთაგან სხვათა უცხო ტომთა მიერ და დაკარგულ დაუდევნელობითა ჩვენითა ჩვენთვის და შვილთა ჩვენთათვის. ვსტიროდეთ აწ ამაზედ, რამეთუ ესე მოხდა და ხდების ჩვენთა დროთა, თვალთა-წინ ჩვენთა, უდებობითა ჩვენითა...

ზარნა ზოგნი ამა დიდებულთ წინაპართაგან ჩვენთა დაშთენილ საუნჯეთაგანი აწცა არა სრულიად დაკარგულ არიან ჩვენ უდებთა ძეთაგან და გვიჩნს, რათა განვფრთხეთ დაუდევნელობისაგან და რაიცა დაშთენილ არს არა სრულიად მიღებულად, მოწადინებულ და მოცადინენი ვიქმნეთ მობრუნებისა და დაცვისა მათისათვის ნათესაობისა ჩვენისათვის, რათა არა გინებით მოსაგონებელ ვიქმნათ შვილთაგან ჩვენთა. ხოლო უკეთუ ესეცა ვერ შევსძლეთ, შევიწყნარნეთმცა მდიდარნი ქართულთა წიგნთ-საცავნი და ბიბლიოთეკანი ქართველთ ჯვარის მონასტრისა (ქალაქს იერუსალიმსა შინა) და წმინდა ათონის მთაზე ჩვენივე ივერიის დიდის მონასტრისა, რამეთუ წიგნნი ამა ბიბლიოთეკასთან წარიწყმიდებიან სხვათა ტომთა მიერ, რომელნიცა უმეცარნი და არა გულის-ხმიერნი არიან, რა ძვირფასსა საუნჯესა ჩვენსა სიცოფითა კადნიერად წარწყმედენ!... ღირს არს, რათა განათლებულთა საქართველოს ძეთა დააყენონ უმეცრობა და სიცოფე წარწყმედელთა ამათ, არა მოყვარეთა ერისა ჩვენისა, და მდიდარნი ესე წიგნთა საუნჯენი დაცულ იქმნას და გარდაცემულ მომავალთა ჩვენთა...

დროსა ჩემის აღმოსავლეთთა ადგილთა მყოფობისა 1866 წელსა მე არა ღირსი ღირს ვიქმენ ხილვად წმიდისა ქართველთა ჯვარის მონასტრისა იერუსალიმსა შინა, აღშენებულსა და შემკულსა ჩვენის ტომისაგან, ქართულნი წარწერანი და გამოხატულობანი კედელთა ზედა მისთა მრავალთა მეფეთა დი ჩინებულთა ჩვენის ქვეყნისათა (რომელთა შორის არს სურათი პოეტის შოთა რუსთველისაცა) და მდიდარი ქართულის წიგნებითა ბიბლიოთეკა ღირსნი არიან ყურადღებისა განათლებულთ ჩვენის ქვეყნის შვილთა, გარნა სდუმნიან განათლებულნი ჩვენნი...

(შემდეგი იქნება)

# რუსეთი

—

## პუშკინი

6 ივნისს მოსკოვში ძეგლი აუგეს გამოჩენილს რუსის პოეტს, ალ. პუშკინს. ამ დღეს მოსკოვში შეიყარნენ ბევრი რუსულის გაზეთებისა, ჟურნალების და სალიტერატურო და სამეცნიერო საზოგადოებათაგან გამოგზავნილი მწერლები და მეცნიერები. მთელი სამი დღე იდღესასწაულეს. პროფესსორები ლაპარაკობდნენ პუშკინის მნიშვნელობაზე რუსულ მწერლობაში, პოეტები კითხულობდნენ ლექსით—ქებას იმის ნიჭისას და კორრესპონდენტები სწერდნენ უბოლოვო ტელეგრამმებს და წერილებს სხვა და სხვა გაზეთებში. პეტერბურგში და მოსკოვში ქუჩებს უწოდეს პუშკინის სახელი. ყველგან რუსეთის დიდს ქალაქებში იმართებოდა სადილები, რომელზედაც ესწრობოდნენ მინისტრები და სხვა წარჩინებულნი პირნი; ყველა აღტაცებით იგონებდა პუშკინის სახელს; ჟურნალები და გაზეთები აივსნენ პუშკინის ცხოვრების აღწერით, იმის ლექსებით და თხზულებების გარჩევით. ყველა თავის გვარად აღწერდა პუშკინს. ლიბერალები ამბობდნენ, რომ ის ლიბერალი იყო, კონსერვატორები სახავდნენ იმას ღვთის მოყვარე კაცად, ცხარე-პატრიოტები სახალხო პოეტის სახელს აძლევდნენ, ევროპის თაყვანის მცემელნი კი ბაირონის უკეთესს შაგირდათ სთვლიდნენ.

უკეთესის კრიტიკოსების აზრით, პუშკინი იყო უნიჭიერესი გამომთქმელი თავის დროინდელ განათლებულ ახალგაზრდობის აზრისა. ამ ახალ გაზრდობას ეჯავრებოდა საზოგადოება, რომელიც მოითხოვდა იმისაგან ჩინოვნიკობას, ე. ი. უფროსების წინ ლაქიობას, ჯამაგირების და ჯილდოების უკან სირბილს, უგრძნობლობას და სიბრძნეს თვით სიყვარულში. ამ საზოგადოებას ახალგაზრდობამ ზურგი შეუბრუნა, მაგრამ რადგან ცუდ აღზრდის გამო არ იცოდა-რა და შრომას არ იყო შეჩვეული, ახალი კეთილის ნაყოფის მომტანი გზა ვერ იპოვა. ეს უგზო-უკვლობა უარესად სტანჯავდა ყმაწვილს პუშკინს; ხან მოგზაურობდა, რომ თავი დაეხსნა თავის საზიზღარ საზოგადოებისაგან, ხან შინ ლოთობდა და ყოველს ღონისძიებას ხმარობდა, რომ საზოგადოება გაეჯავრებინა იმის ადამის ქამურ წესების დარღვევით, ხშირ დუელებით და სხვა და სხვა ცელქობით; ხან დაღალული ამ გვარ, ბრძოლით თავის დამწვარს გულის კვნესას გამოსთქვამდა მშვენიერ ჟღეროვან ლექსებითა.

პუშკინმა პირველმა შემოიტანა რუსულ მწერლობაში ჩვეულებათ სალაპარაკო ენით წერა, რომელიც უბრალოთ, მაგრამ ძლიერათ გამოსთქვამდა ნამდვილ გრძნობას, ამასთანავე ისე გაამდიდრა სალაპარაკო ენა, რომ ამას შეეძლო მწიგნობრულ ენის მაგიერობა.

ეს ორ-გვარი მნიშვნელობა (ისტორიული და ლიტერატურული). პუშკინს აძლევს რუსულ მწერლობაში ერთს პირველს ადგილთაგანს.

ქართულს ენაზედ გადარგმნილია რამდენიმე წვრილი ლექსი და სცენა პუშკინისა. ჩვენ გვახსოვს:

**ზვავი**, თარგმ. თ. ალ. ჭავჭავაძისა (ცისკ.)

**ყვავილი**, მისივე. (ცისკ.).

**კავკასია**, მისივე (ცისკ.).

**სიზმარი**, მისივე (ცისკ.).

**მახსოვს, მახსოვს დრო ნეტარი.** თარგმ. მ. ბირთვ. თუმანიშვილისა. („ალმანახი“ წიგნი პირვ.).

**მარი**, თარგმ. გ. ერისთავისა (ცისკ.).

**კურთხევა**, მისივე. (ცისკ.).

**რომანსი**, თარგმ. რაფ. ერისთავისა. (ალმ. წიგ. მეორე).

**ძუნწი გმირი**, მისივე (კრებული 1873 წ.).

**დონ-ჟუანი**, სცენები, თარგმ. მ. თუმანიშვილისს (ალმ. წიგ. მეორე).

**ბაღჩისარაის შადრევანი**, პოემა, თარგმ. მისივე (არსად არ არის ჯერ დაბეჭდილი).

თ გრ. ორბელიანის ლექსებში ვპოულობთ ორ ლექსს-მიბაძვას პუშკინისადმი— „**ლხინი**“ და „**თაყვანის მცემელთ როს გუნდი.**“

# უცხოეთი

—

**წვრილი ამბები.** საფრანგეთის სენატს გადუწყვეტია, განხილულ იქმნას წინადადება სამხედრო მღვდლების თანამდებობის მოსპობის შესახებ. პოლიციის პრეფეკტს ანდრიეს უთქვამს, როცა ამნისტიას სისრულეში მოიყვანენო, პალატისა და მთელი საფრანგეთისაგან მხარ-მიცემულმა მმართებლობამ მხნედ უნდა იმოქმედოს კომმუნარების წინააღმდეგო.

დეპუტატთა პალატში გამბეტტას უთქვამს, ამნისტია (სრულიად პატიება) პოლიტიკური უძლურება კი არა ძალის შემოკრება არისო. საჭიროაო კომმუნის დანაშაულობის დავიწყება და საქვეყნოდ თქმა, რომ: „ერთია საფრანგეთი, ერთია რესპუბლიკა.“ სრულიად პატიების პროექტი შეუცვლელად მიიღო 333 ხმის უმრავლესობამ 140 წინააღმდეგ.

—

სომხეთის შესახებ ოსმალეთის სამინისტროს განუხილავს პროექტი უცხო საქმეთა მინისტრის აბედდინ-ფაშისა, რომელიც ამას წინად სომხეთის ვალი-ფაშად იყო. ამ პროექტით მთელი სომხეთი ნახიებად ანუ მაზრებად იყოფება. მასრების უმთავრესი ქალაქები ერთი მეორიდამ ორი საათის სავალის გზით იქნებიან დაშორებულნი. მაზრის უფროსსა მაზრის მცხოვრებლების უმრავლესობით იქმნება ამორჩეული. მას ეყოლება ორი მრჩეველი, და თვითონ იგი აასრულებს მსაჯულის თანამდებობას. მასთან დაინიშნებიან ოთხი ჟანდარმი ქრისტიანეთაგანი, და ორი მუსულმანთაგანი, თუ უმრავლესობა ქრისტიანეა, და თუ უმრავლესობა მუსულმანია მაშინ ოთხი მუსულმანი და ორი ქრისტიანე. დააფუძნებენ სისხლის სამართლის განსახილველ სასამართლოს, რომელიც შედგენილ იქმნება მუსულმანებისა და ქრისტიანეთაგან. ეს სასამართლო ერთ ადგილას არ იქნება; მაზრიდამ მაზრაში გადავა და აპპელაციურის წესით განიხილავს მაზრ. უფროსებისაგან დადგენილ განჩინებებს. გვარწმუნებენ, რომ მინისტრების რჩევამ მიიღო ამ პროექტის დედა-აზრიო.

—

ალბანიელებს მიურთმევიათ სკუტარიაში მყოფთ უცხო ქვეყნების დესპანებისათვის წერილი, რომელშიაც სთხოვენ რომ იმათ გადასცენ თავიანთ სახელმწიფოებს ალბანიის ხალხის სურვილი. ეს სურვილი გახლავთ ამ ნაირი: მათ უნდათ დაიცვან თავიანთი გვარტომობა, ენა, მიუკარებლად, სხვა ტომის ხალხისაგან ხელ-შეუხებლად; ამიტომაცა ისინი ეწინააღმდეგებიან ოსმალ-ჩერნოგორიის შუა ხელ-შეკრულობას, რომლის ძალითაც ისინი ჩერნოგორიის ქვეშევრდომობაში უნდა შესულიყვნენ. ზემოხსენებულ წერილში სხვათა-შორის სწერია:

„ჩვენი ალბანია, ჩვენი უძვირფასესი სამშობლო, თუმცა დღეს უბედური და დამცირებულია, მაგრამ მისი წარსული ცხოვრება სახელოვანად არის მოხსენებული უზაკველ ისტორიაში. იმას არ უნდა გაყიდულ ან გაცვლილი იქმნეს. იგი თავის დღეში ვერ აიტანს უცხო ხალხის ბატონობას და მის მონების ქვეშ ყოფნას, და ნამეტურ სლოვენების ტომის ბატონობას, რომელთაგანაც ალბანიის ხალხი განირჩევა ყოვლის-ფრით, რო-

გორც შთამომავლობით, ენით და ტიპით, ისე თვისებითაც, ზნით, ჩვეულებითა და სხვ. ჩვენ გვინდა მხოლოდ ალბანიელებად ყოფნა, ჩვენ გარდა სამშობლოის ერთობისა და თავისუფლების სხვა არაფერი გვინდა. თავისუფლება და ერთობა ჩვენთვისაც ისე ძვირ-ფასი არის, როგორც ყოველ განათლებით დაწინაურებულ გვარტომობისათვის მისი სამშობლოა. საგვარტომო თვითების დაცვა იყო, არის და იქმნება ჩვენი უუწმინდესი მიზანი, უგულითადესი სურვილი. მოვიხმობთ განათლებულ ხალხების უწმიდეს, სამართლიან გრძნობას და ვევედრებით: წარმოიდგინოს ჩვენი უბედურება, იგი სისხლის ნთხევა, რომელიც აუცილებლად მოხდება თუ ჩვენ ძალადაგვატანეს ჩერნოგორიის ქვეშევრდომობაში შესასვლელად, და ნუ ინებებენ, ჩვენს ამ რიგ მდგომარეობამდი მიყვანას! მთელს ალბანიაში ქუდზე კაცია გამოსული, დაიარაღებული სამშობლოის თავისუფლების დასაცველად, და კიდეც დაიცვენ სულის უკანასკნელ ლაფვამდე. ჩვენი ხალხის დევიზია: თავისუფლება ან სიკვდილი!"

წერილი თავდება შემდეგ სიტყვებით:

„უმორჩილესად გთხოვთ ბ.ბ. დესპანებო, ავსტრი-უნგრიისა, საფრანგეთისა, ჰერმანიისა, რუსეთისა, იტალიის და ინგლისისა ყურადღება მიაქციოთ ამ ჩვენ თხოვნას და მოახსენოთ ესვე თქვენს მმართებლობას."

# განცხადებანი


## ქალაქის გამგეობისაგან

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** აცხადებს, რომ კუკიაში, ვარანცოვის წყლის-პირა ქუჩაზე, ვარლამოვის ცოლის სახლებში არის გასაქირავებელი 5 ოთახი თავის სამზარეულოთი, საჯინიბოთი.

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ტფილისის ქალაქის გამგეობაში.

(3—1)

**კავკასიის აქეთა მხრის საქალებო ინსტიტუტის** რჩევა უცხადებს, კანდიდატების მშობლობლებსა, ნათესავებსა და აპეკუნებს, რომ კენჭის ყრით, რომელიც ამ 4 ივნისს მოხდა ინსტიტუტში პანსიონერკებათ მიღებული არიან შემდეგი კანდიდატკები:

**ადგილობრივ განყოფილებაში:** სრულიად ობლები—მართა გედევანოვისა აზნაურის ქალი და ელენე შაბუროვისა პრაპორსჩიკის ქალი; მამით-ობოლი—კოლეჟსკის ასესორის ქალი ეკატერინე ფუდინოვისა; დედ-მამით ობოლი ეკატერინე მელიქ-სარქისოვისა გუბერნსკი სეკრეტრის ქალი და ოლგა ასლამაზოვისა პორუჩიკის ქალი.

**რუსულ განყოფილებაში:** სრულიად ობოლი ნადეჟდა მარკევიჩ კაპიტნის ქალი, დედ-მამით ობოლი—მარიამ ანანია კაპიტნის ქალი.

(3—1)

კვირაცხოვლისა და შემდეგის კვირის განმავალობაში

## ინგლისის მაღაზიაში

20% უფრო იაფად

გაისყიდება სხვა-და-სხვა ინგლისის საქონელი.

(10—9)

**შეკოლადი და კაკაო**

ფრეი და შვილები, რომლებმაც პარიჟში გამოფენის დროს ოქროს მენდალი დაიმსახურეს, როგორც იქნა ბოლოს მიღებულ იქმნენ ინგლისის მაღაზიაში. იქვე მიიღეს აგრეთვე მრავალი ჩაი.

(10—4)

**სოფელში და მოგზაურთათვის**

დასაკეცი კრაოტები, კრესლო-კრაოტები, სკამები, წყლის საწმენდი მაშინები, დანები, თეფშები, ჩემოდნები, ჩაი, ბისკვიტები, კანფეტები, ციტრატ-მაგნეზია და თევზის საჭერი ჯოხები ისყიდება ინგლისის მაღაზიაში—3 მანეთიდამ 8 მანეთამდინ.

ნამდვილი ინგლისის თოფები და რევოლვერები ისყიდება ინგლისის მაღაზიაში 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე.

**წამოსასხმელი! წამოსასხმელი წამოსასხმელი!!**

ინგლისის მაღაზიაში 3 მანეთად 25 კაპეიკად!

წინდები და ჩულქები დუჟინი 2 მანეთიდამ!

(30—6)

**სლესარნი ზავედენია** გაიდოტალახის ქუჩაში, სერგეი მელიქოვის სახლებში, № 3. ვაკეთებ რკინის ბალკონსა, კიბეებსა, საფლავის მოაჯირებსა შენობისთვის შესაკრავ რკინებსა და აგრეთვე ყოველგვარ ზაკაზსა რკინეულისასა იაფ ფასათ.

ხელოსანი დავით გზირიევი.

(6—4)

**შენიშვნა**

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

**მაკ - მასტერი**

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო **ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი ახლა 2 მანეთად ღირს.

(100—6)

**უკანასკნელი გასყიდვა**

თოფები, რევოლვერები, დანები, კალმები, დუხები, საპნები, წინდები ჩულქები, ცხვირ-სახოცები და სხვ. და სხვ.

ინგლისურ მაღაზიაში.

(10—4)


**სია**

საქმეებისა, რომელიც უნდა განიხილოს ტფილისის ოლქის სასამართლოს (ოკრუჟნი სუდის) განყოფილებამ ქ. გორში:

21 ივნისს

იმ დავების განხილვა, რომელიც ასტყდა სოფ. ქასპის ტყის გამიჯვნის დროს.

27 ივნისს

იმ დავების განხილვა, რომელიც ასტყდა გორის მაზრის სოფ. იგოეთის ტყის გამიჯვნის დროს. (3—3)


## კანტორა

ოდესის ვაჭრის

## გრ. ზალინოვისა

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჰყიდულობს და ჰყიდის, კომმისიით, ყოველ გვარ საქონელს.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებელად.

წარმამოდგენელია რუსის და სამზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნარდათ ჰყიდის და ჰყიდულობს, გრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრიმლო და კოლონიალურ საქონელს.

(30—17)

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოიცემა გასასყიდად

ახალი წიგნი

სამწერლო

## თაიგული

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის და აზნაუროვის მაღაზიაში გოლოვინის პროსპექტზე.

ქუთაისში პ. ფ. გერარდის წიგნის მაღაზიაში.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური, გაგზავნით სხვა ქალაქებში სამი აბაზი.

(3—3)

**პარუსინა**, ბუმაზეია, ტრიკო, დრაპი, ხავერდი მებელისა და ფაეტონებისათვის, უნაგირები, ფოჩტის ქაღალდი და სხვ. 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

**მურაბა** გემრიელი, კანფეტიბი, ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

**კარბოლის** პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—ინგლისის მაღაზიაში.

(40— 9)

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ **ნოქალაქევის სამკურნალო წყლები** უწყებული თვისის მკურნალეობითა აღწერილობისა-მებრ დოკტორის პლეშკოვსკისა და სხვა ცნობაებით, რომელიც იმყოფება ქუთაისის გუბერნიაში სენაკის მაზრაში სოფელს ნოქალაქევს, 18 ვერსტზედ დაბა ახალ-სენაკიდამ (სტანცია რკინის გზისა) უკანასკნელის 20 წლის განმავალობაში იყო მივარდნილი, უპატრონოთ მიტოვებული, ახლა კი ეს წყლები ჩემს განკარგულებაში არის საიჯარადროდ და კიდევაც მოყვანილია მადნის წყალი სრულს წესიერებაშიდ. ეს სამკურნალო წყალი სხვა წყლებთაგან განყოფილია და აყვანილია მიწის საშვალობით 10 არშინზედ და გაშენებულია აუზები (ვანნები).

მსურველთ შეუძლიანთ ისარგებლონ აღნიშნულის წყლებით ფრიად ზომიერის ფასით და მრთელის ჰაერით, რომლითაც გამოჩენილია ნოქალაქევი.

მეორე გილდის ვაჭარი
ივანე ლაზარის ძე გვიშიანი.

(შ.) (12—9)

**პატენტიანი შჩოტკები**

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ დუჟინი; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(100—12)

ახლანდელ დიდს

## გამოფენის

დროს,

ოლეოგრაფიული სურათები იყიდება 20% დაკლებით, მაკ-ინტოშები (მოსახურავები) 6 მანეთიდამ 20-მდე; შრიოთქები მოსაფხეკებითურთ თითო 75 კ.; შეკვეთილია შეფფილდში განსაკუთრებით ინგლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, რწყვილი ბუდეებით ღირს 4 მან.; შეფფილდის დანები ჩანგლებიანათ დუჟინი 2 მ. 75 კაპეიკიდამ 20-მანეთამდე. ჩაინიკები ბრიტანიის მეტალისაგან 30 კაპეიკიდამ 3 მანეთამდე; ციტრატ-მაგნეზია, ოსმალოს შარბათი და სამწყურალო კვერების ბანქა 70 კ.; საუკეთესო პორტ-ვეინი და ხერესი 1 მ. 40 კ. ბოთლი, და შამპანიის ღვინო ბოთლი 3 მან. და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(40—19)


Дозволено цензурою. Тифлисъ 16 Іюня 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი